№ 184
აგვისტოს 29, ხუთშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 184
აგვისტოს 29, ხუთშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დღესასწაულებისა გამო შემდეგი № ი გამოვა კვირას, 1 სექტემბერს.

პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია"

ღირს **ოთხ მანეთად** და **თხუთმეტ შაურად** (4 მ. 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія".

ნატალია მერაბის ასული ცაგარლისა აცნობებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 29 აგვისტოს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მისის მეუღლის

ავქსენტი ანტ. ცაგარლის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი $11^1/_2$ საათზე.
(2—2)

საფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო
(მუხრანიანთ ქუჩიდან) და
მაღაზია
(სასახლის ქუჩიდგან)

გადავიდა ერთ შენობაში „სევერნი ნომრების" ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო). (ნ)

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ. Фармацевтика.

ტელეფონი № 741.

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა"

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის არჩევით, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შეინახავს საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევს მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და [illegible], აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა [illegible] მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, სადაც პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნაოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**"-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლი № 10.

სააგენტონი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.
(120—6.—19)

ჭიათურის ბანკისაგან

ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოება (ჭიათურის ბანკი) საზოგადოების წესდების § 33, 34 და 35-ის თანახმად იწვევს საზოგადოების წევრთ

საგანგებო კრებაზედ,

რომელიც უნდა მოხდეს ორშაბათს 16 სექტემბერს, დილის 10 საათზედ, ჭიათურის თეატრის დარბაზში.

განსახილველი საგნები:

1) თანახმად საზოგადოების წესდების § 43-ისა საბჭოს წევრთა რიცხვის მომატება.

2) იმავე წესდების § 44-ის თანახმად საბჭოს წევრთა არჩევანი, ნაცვლად ბ. ბ-ნი ი. გასფელდისა და ი. კაკაბაძისა, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზების გამო საბჭოს წევრებად აღარ ირიცხებიან და აგრეთვე მომატებულ რიცხვის შესავსებად.
(1—6.—1)

სასწავლებელი
და
პანსიონი
გ. ლ. ყუზანოვისა

იღებს ბავშვებს სრულ და ნახევარ პანსიონერებათ და აგრეთვე გარედან მოსიარულედ და ამზადებს ყველა სახელმწიფო სასწავლებელთათვის. აგრეთვე მიიღება ყველა სასწავლებელში მოსიარულე ბავშვები ბინით. ბავშვებს მიიღებენ 22 აგვისტოდგან. სწავლა 2-ს სექტემბრიდან დაიწყება. პანსიონი იმყოფება სოლოლაკში, ბებუთოვის (წინეთ სადოვის) ქუჩაზე, სახლი ექიმ ქუჩარიანცისა № 50.
(5—407—5).

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე.
წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათამდის.
ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
ბრ. ვ. სოკოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა.
(წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.
გ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.
ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმსა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

ტფილისი, 29 აგვისტოს.

იყო დრო, როდესაც ქართველს თავის საკადრის იარაღად უმთავრესად ხმალი მიაჩნდა. მაშინ უკეთეს კაცადაც ის ითვლებოდა, ვინც უკეთესი მეომარი იყო. მიწის-მუშა, ხელოსანი, ვაჭარი, მღვდელი, ბერი, ყველა იმას შეჰნატროდა. მეომარი იყო იდეალი, გმირი მაშინდელ მოთხრობისა, ამბისა. იგი თავის მხრივ ყველას მაღლიდგან დაჰყურებდა, ყველას იმორჩილებდა. მეომარი იყო ბატონი, ყველა სხვა—მისი მონა. ხმალს ჰყავდა დამონავებული ქვეყანა, ხმლის ძალაზე იყო დამყარებული ბატონობა.

დრონი იცვალნენ. ბასრის ხმლის ადგილი ბლაგვმა და მშვიდობიანმა ადლმა დაიჭირა. თუ მაშინ ხმლის ელვარება ბატონობდა, ახლა ოქროს ბრჭყვიალი ბატონობს. თუ მაშინ მეომარი იყო პირველი კაცი, ახლა პირველობს მრეწველი, ვაჭარი, ან ბანკირი. „ჩოთქმა" აჯობა ხმალს, ხმალმა თავი მოიხარა „ჩოთქის" წინაშე.

ჩვენი ისტორიული უბედურობა ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ძლიერ გვიან გადავარდა ხმლის მფლობელობა. მრეწველ ქვეყნებს მაშინ დავუახლოვდით, როდესაც ჯერ კიდევ ფეოდალურ ხანაში ვიმყოფებოდით. ხმლის ტრიალს მიჩვეულთ, ადლის ხელში ჭერას არ ჩვეულთ, უკან-უკან დავიხიეთ და ჩვენს უწინდელს მონებს, ჩვენგან შევრდომილ უცხო ტომის ვაჭრებს დავუთმეთ ჩვენის მამულის თითქმის ნახევარი ნაწილი, იმ მამულისა, რომლის ყოველი კენჭი მორწყულია ქართველის სისხლით, რომელიც საარაკო გმირობით დაიცვა უკანასკნელ დრომდის ქართველმა ერმა ურიცხვ ველურ ურდოთაგან. რაც თემურლენგებმა და შაჰაბაზებმა დაგვაკლეს ხმლით, ის შეგვივსეს ვაჭრებმა ადლით. ბედმა იქიდგან გაგვითხარა ძირი, საიდგანაც არ მოველოდით. ამაზე მეტი საცინლად აგდება ბედისაგან შეუძლებელია.

ერთს დროს სახელოვანი და ღვაწლმოსილი თავად-აზნაურობა დაზარმაცდა, რა-კი თავისი მნიშვნელობა დაჰკარგა. მას აქეთ, რაც ომის გრიგალი ჩავარდა და მყუდროებამ მოიცვა ჩვენი ქვეყანა, ხსენებულმა წოდებამ ძილსა და ქეიფს მისცა თავი. აი ეს გარემოება აძლევს ჩვენ შორის მონავარდე ვაჭართ საბუთს უწოდონ მთელს ქართველ ერს ზარმაცი! უცხო ტომის მდიდარი ბურჟუა ეუბნება ქართველ გლეხს, ზარმაცი ხარო! უსამართლობა ამას იქით ვეღარ წავა!

თუ ქართველი ერი ღარიბია, მაშ საიდგან გამდიდრდა ქართველებში სომხების უმეტესი ნაწილი, რომელიც, ყველამ უწყის, არცა ჰხნავს, არცა სთესავს და მრავლად-კი შეიკრებს საუნჯესა?! დიაღ, შეუძლებელია, რომ ქართველ ერის სიზარმაცე თვით ვაჭრებს სჯეროდეთ. შეუძლებელია იმათაც არ იცოდნენ, რომ მათი სიმდიდრე ქართველ ხალხის შრომაზეა დამყარებული და მათი ღაღადისი, ქართველები ზარმაცები არიანო, მხოლოდ ცილისწამებაა, სხვა არაფერი.

სომხები რომ მდიდრები არიან და ჩვენ ღარიბები, ეს იმით-კი არ აიხსნება, რომ ისინი მშრომელნი არიან და ჩვენ ზარმაცები. პირ-იქით, მშრომელი ხალხი, შრომის წარმომადგენელი, ქართველია იგი თუ სომეხი, უმეტეს ნაწილად ღარიბია, მდიდარია თითქმის ყოველთვის ვაჭარი ან მრეწველი, თუმცა არც ერთი და არც მეორე არ იკლავს თავს მაინც და მაინც მძიმე შრომით.

ეს-კი მართალია, რომ ეხლანდელი სიმდიდრე ვაჭრისა და მრეწველის ხელშია უმთავრესად. ახლანდელ დროში ის ერი ვერ ერობს, რომელსაც ვაჭარმრეწველი წოდება არა ჰყავს. ასეთი ერი მოგვაგონებს ცალ-ფრთა მოკვეცილს ფრინველს. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ იმისი, რომ ქართველმა ერმა მიწაწყალს თავი მიანებოს და ქალაქებში გადასახლდეს, რადგან ეს გარემოება ქართველის ერის სიკვდილის მომასწავებელი იქმნებოდა. ის ერიც ვერ ერობს, რომელსაც მიწაზე მაგრად ფეხი არ უდგია. მიწა სიმაგრეა და ძლიერება ერისა. მიწა არი მიზეზი ეროვნულის ერთობის განმტკიცებისა, დაუშრეტელი წყარო ერის ჯან-მრთელობისა და ზნეობრივ-გონებრივის ძლიერებისა. ხოლო თავი სოფლისა არის ქალაქი. ქონებრივი, გონებრივი და ზნეობრივი ცენტრი აქ არის. როგორც ორგანიზმის ტანი უთავოდ არ ვარგა, ისე სოფელი უქალაქოდ. ქალაქი არის ფოკუსი, სადაც თავს იყრის ერთად ქვეყნის აზრი და გრძნობა. ქალაქი აძლევს სოფელს ძალას ისე, როგორც უკანასკნელი პირველს.

ქალაქი და სოფელი ერთმანეთს ანაყოფიერებენ, ეხმარებიან, აძლიერებენ. ქალაქიდან იფინება სოფლად სიმდიდრე და განათლება ისე, როგორც სოფელი ანიჭებს ქალაქს საღ მუშაკს და საღ ნაწარმოებს.

ეს შრომის განაწილება ქალაქსა და სოფელს შორის, ეს ზედ-მოქმედება ერთისა მეორეზე მაშინ არის უფრო ნაყოფიერი, როდესაც ქალაქი და სოფელი მტრულად არ უყურებენ ერთმანეთს. მათი ერთმანეთს შორის მტრობა-კი, ცხადია, ფრიად ხელს უშლის საზოგადო წარმატებას.

საქართველოს აღმოსავლეთად-კი რას ვხედავთ? ქალაქები ხელში ჩაუგდიათ უცხო ტომის ვაჭრებს, რომელთაც ქართველი ერი თავის მეწველ ფურად გაუხდიათ. იქაური ვაჭრები უყურებენ ჩვენს ხალხს ისე-კი არა, როგორც ადამიანებს, არამედ როგორც მხოლოდ საშუალებას თავიანთ გამდიდრებისას. ამიტომაც იგისი ქართველთაგან მოპოებულ სიმდიდრის მცირეოდენ წვლილსაც-კი ვერ იმეტებენ ქართველ ხალხის კულტურულ წარმატებისათვის. გვიჩვენეთ ტფილისის გუბერნიაში ქართველთათვის სომეხთაგან დაარსებული სასწავლებლები, წიგნთ-საცავები, სტიპენდიები, ეკონომიური საზოგადოება-

ნი და სხ. *); გვიჩვენეთ და მაშინ დაგიჯერებთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ვაჭარნი ჩვენთვის სასარგებლონი არიან.

მათი და ჩვენი ერთმანერთობა საუკეთესო საბუთია იმისი, რომ ყოველმა ერმა თავის-თავისთვის თვითონ უნდა იზრუნოს, რომ სხვისა ხელში ყურება არავის არ არგია! ჩვენც თვითონ უნდა ვიზრუნოთ ჩვენის თავისათვის. ვაჭრები ზარმაცებს გვეძახიან, რადგან ჯერ საკუთარი ჩვენი ვაჭრები არა გვყავს, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ, როგორც მეომრობასა, მხნელ-მთესველობასა და ლიტერატურაში, აგრეთვე არც ვაჭრობაში არავის არ ჩამოვუვარდებით. ჩვენ გვაკლია აღმოსავლეთად ვაჭართა წოდება, რომელიც აუცილებლად უნდა შევქმნათ, თუ გვსურს ჩვენი თვითარსებობა დავიცვათ. ხმლის ტრფიალით გატაცებულები ადლს არ უნდა ვთაკილობდეთ. ცრუ ამპარტავნებას თავი დავანებოთ და ვაჭრობა შევისწავლოთ. დაარსება დაბალ სავაჭრო სასწავლებლებისა დაბებში აუცილებელი საჭიროებაა ჩვენთვის.

ვისურვოთ, რომ ჩვენის საზოგადოების შეგნებულ ნაწილს მეტი მხნეობა და თაოსნობა გამოეჩინოს ყოველ ამგვარ საქმეში.

ტფილისი

✦ ქართული თეატრი მალე იქნება მზად. ამ ჟამად დიდი მუშაობაა სცენაზედ, ახალს დეკორაციებს ამზადებენ. შიგნიდგან ილებება სხვა ფრად. ამიტომ თეატრი უფრო შნოიანი სჩანს და ლამაზი. პირდაპირი ლოჟები ბელეტაჟისა აღებულია და იმის მაგივრათ გამართულია ამფითეატრი—ბალკონი—ოთხი რიგი, საიდანაც მშვენივრადა სჩანს სცენაც და ხალხისთვისაც ძალიან მოხერხებულია. აქამდის, გალერეაში არ იყო საპირფარეშო და ხალხი შევიწროებული იყო უიმისოდ; ახლა-კი გალერეაში იქნება საპირფარეშო, იქ მოსიარულეთ გარედ სიარული აღარ დასჭირდებათ. ამას გარდა საპირფარეშო კეთდება კიდევ ლოჟებისათვისაც.

გასავალი პარტერის მარცხნივ გაგანიერებულია. ასე რომ წინად ორი ადამიანი ერთმანეთს ძლივს აუქცევდნენ ხოლმე გზას, ეხლა-კი თავისუფლად აუქცევენ ორნი-კი არა, ბევრად მეტნი, ისე ფართოა გასავალი.

✦ ქართულ თეატრის შეკეთება პირველ სექტემბრამდე უნდა გათავდეს ვარაუდით. საოპერო დასი თავ. წერეთლისა დაიწყებს რეპეტიციებს 5 სექტემბრიდან. პირველი წარმოდგენა ოპერისა დანიშნულია 15 სექტემბრისათვის.

✦ ქართული სათეატრო დასი წელ-წელა თავს იყრის. დრამატიული საზოგადოება სცდილობს რამდენადაც შეიძლება სრული დასი იყოლიოს ამ სეზონში. პირველი წარმოდგენა დანიშნულია 20 სექტემბრისათვის.

✦ ერთ-ერთ ქართულ სტამბაში იბეჭდება ახალი ქართული წიგნი—ლექსნი ანეტა გრიგოლის ასულის კაპანაძისა, ავტორის სურათით. წიგნი სექტემბრის გასულს მზად იქნება.

✦ როგორც ეიცით, თავ. ზ. გ. ერისთავმა შესწირა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მამული სოფ. ოძისში, იმ პირობით, რომ ამ მამულში სამეურნეო სკოლა დაეარსებინა სამინისტროს; დღევანდლამდის ეს საქმე სამინისტროს აღსრულებაში ვერ მოჰყვანდა, რადგანაც საჭირო თანხა არა ჰქონდა. ამ ჟამად სამინისტროს გარდაუწყვეტია დაარსდეს ამ მამულში სკოლა და დაიწყოს მოქმედება პირველ სექტემბრიდან; სამინისტროს გადაუდვია 500 მანეთი იარაღის შესაძენად, რაც მოუნდებათ მომუშავე მოწაფეებს; ამ სკოლაში პირველად მიიღებენ მხოლოდ 10 მოწაფეს; სკოლის მზრუნველიდ შარშანვე დაინიშნა თავ. ზ. გ. ერისთავი; ვისაც სურს, თავის შვილი მიაბაროს ამ სკოლაში, უნდა მიჰმართოს თავ. ერისთავს; სკოლის სამზრუნველოსაგან ყოველ მოწაფეს თვეში მიეცემა სამუშაო ფასი, დაწყებული 3 მან. 7 მანეთამდე; მოწაფესვე მიეცემა თვიური საცხოვრებელი, გარდა ტანისამოსისა. განზრახვა აქვთ აგრეთვე, რომ ყოველს მოწაფეს, ამ სასწავლებელში კურს დამთავრებულს, მიეცეს ათი თუმანი, რათა შეეძლოს პირველ ხანებშივე, ოდეს თავის მამულს დაუბრუნდება, შეიძინოს ყველა ის იარაღი, რაც საჭიროა მამულის შესამუშავებლად.

✦ რედაქციამ მიიღო ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი. მკითხველებს მოეხსენებათ, რომ წრევანდელი წლის განმავლობაში ვიღაც ავაზაკებმა ხალხის სალოცავებზედ მოიცალეს ბევრგან გაჰქურდეს და შეურაცხჰყვეს წმიდა ეკლესიანი; რასაკვირველია, ამ არა სასიამოვნო ამბავმა მთელი საზოგადოება აღელვა; საბედნიეროდ, ამ ვაჟბატონებს ნადიმი დიდხანს არ გაუგრძელდათ და მათს თავგასულობას ლაგამი ამოედო. ამ არა სასურველ გარემოებას ამ ცოტა ხანში ტფილისშიაც უჩენია თავი. ერთის თვის წინად გასტეხეს ტფილისის საგუბერნიო საპყრობილეს ეკკლესია. ეკკლესიიდამ მრავალი ვერცხლეულობა გამოეტანათ, მაგრამ, საბედნიეროდ, შორს ვერ მოეხერხებინათ წაღება, მიეტანათ და ზოგი საპყრობილის უფროსის ძველ ეტლში ჩეეყარათ, ზოგიც იქვე მიწაში ჩეეფლათ; ნივთები თუმცა სავსებით იპოვნეს, მაგრამ დამნაშავენი დღესაც ვერ აღმოუჩენიათ. ეს ეკკლესია ხელმეორედ გასტეხეს წარსულ შაბათს, 24 ამ თვესა. წაუღიათ მრავალი ნივთი, ზოგიერთა შესამოსზედ ფეხით უვლიათ და სხვა მრავალი უწესოება მოუქმედნიათ. ამ ხანად ჯერ-ჯერობით ვერც ნივთები უპოვნიათ და ვერც ვერავისზედ მიუტანიათ გუმანი. საპყრობილის ადმინისტრაციას სასტიკი ღონისძიება და განკარგულება მოუხდენია ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენად.

✦ ქალაქის გამგეობაში დიდი ხანია აღძრულია საქმე ქალაქის ქუჩების და სახლების სახელდობრივა და ნომრობრივ აღრიცხვისა, მაგრამ წრევანდლამდის გამგეობამ ამ ფრიად საჭირო საგანს საკმარისი ყურადღება არ მიაქცია. ქალაქის გამგეობამ, სცნო-რა საჭიროდ სახლების ნომრების მოწეს-რიგება, ერთ თავისს კრებაზედ დაადგინა: შევუდგეთ ახალ წარწერების მიკვრას ქუჩებზედ და სახლებზედაო; ეთხოვოს პოლიციას, რომ ამ მხრივ ჩვენს მოხელეებს საჭირო დახმარება აღმოუჩინოსო. ტფილისის პოლიცმეისტერი ქალაქის ამ განზრახვას სიხარულით მიეგება, მაგრამ დასძინა: 1) რადგანაც ქალაქის საბჭოს ჯერ ახალი დადგენილება არ გამოუქვეყნებია ამ საგანზედ, ხოლო ვიდრე ამ დადგენილებას შეიმუშავებს, კარგი დრო გავა, 2) რადგანაც იმ ნიშნების დამზადებას, რაც ქუჩებსა და სახლებს მისაკრავათ მოუნდება, გავა არა ნაკლებ ორის წლისა და ამ ხანში-კი შესაძლებელია ბევრი სახლი ერთის ხელიდგან მეორისაში გადავიდესო, ამიტომ: კარგი იქნება, ეხლა მხოლოდ შესწორდეს სახლების ნომერაცია და ამ შესწორების შემდეგ, სჯობს ქალაქის რაიონები ნაწილ-ნაწილად დაიყოს და მხოლოდ ამ შეღავათით შეუდგნენ ქუჩებისა და სახლების სახელ-დებისა და დანომრვის მოწეს-რიგებასაო.

✦ მას აქეთ, რაც ქალაქის სავაჭრო დებულება შემოიღეს, ქალაქის გამგეობა ხარჯს ახდევინებდა ყველას, ვინც რაიმე სანოვაგეს, თუ სხვა რამ გასასყიდს ჩამოიტანდა ქალაქის ბაზარში. ამ ხუთის წლის წინად, განიხილა რა ეს დებულება ტფილისის საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საკრებულომ, უარ-ჰყო ეს დადგენილება და აუკრძალა ამ მუხლით ხელმძღვანელობა. საგუბერნიო საკრებულო თავისს ამნაირ შეხედულებას იმით ასაბუთებდა, რომ სოფლელებს თვით ქალაქში მცხოვრებთა საჭიროებისთვის მოაქვთ სანოვაგე გასასყიდადაო და ამ შემთხვევაში-კი თვით ქალაქის გამგეობა უნდა სცდილობდეს შეუმსუბუქოს იმათ ჩამოტანა და გასყიდვა სანოვაგისა და ყოველგვარის ნუზლისაო. ეს დადგენილება ქალაქის გამგეობამ განასაჩივრა სენატის წინაშე. ამ დღეებში გამგეობამ მიიღო პასუხი სენატისაგან, რომელსაც საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება სამართლიანად უცვნია.

✦ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს ძირეულად შესცვალოს ის საფუძველნი, რომლებზედაც არის დამყარებული კრებანი ნავთისა და შავის ქვის მრეწველთა.

✦ ოსტროუმოვის შემდეგ, რომელიც სინოდიდან იყო გამოგზავნილი ტფილისში, სხვათა შორის, სასულიერო სემინარიის შენობის აგების საქმისათვის, ბეჯითად შეუდგნენ ამ შენობის შინაურულის ძალ-ღონით აგებას. ჯერ-ჯერობით გაცხარებით ეზიდებიან საშენებელ მასალას: ქვას, კირს, ქვიშას და სხ. საძირკველი ალაგ-ალაგ უკვე გაჭრილია.

✦ ამას წინად ზოგიერთს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ ყარსის რკინის გზაზედ, სად. ჯანდარს ახლოს მატარებელი გადასცდა რელსებს და დაზარალდაო. როგორც ყური მოვკარით, ამ უბედურობის დროს რამდენიმე ქალი დაშავებულა, რომელნიც მდგარან ვაგონ-გარეთ აივანზედ. ერთისთვის ფეხი მოუწყვეტია, ზოგისთვის ხელი დაუშავებია, ზოგისთვის თავი, მკლავი და სხვ. მთლად მატარებელი დაიღუპებოდა, რომ მემაშინეს დროზედ არ მოეხერხებინა შეჩერება მატარებლისაო. ასე გვიამბეს იმ მატარებელზედ მყოფთ და ვერ ვიტყვით, რამდენად მართალია ეს ამბავი.

✦ საქართველოს ექსარხოსმა გაუგზავნა ქალაქის გამგეობას ქაღალდი და სთხოვა, ფერის-ცვალების ეკკლესიასთან მიმავალი ჩასახვევი, რომელიც დიდ ქუჩას ერთვის, უსუფთაოდ არის, არ არის მოკირწლული და არც ტროტუარები აქვსო, რაიმე განკარგულება მოახდინეთო. გამგეობამ 27 ამ თვეს დაადგინა: მოიფინოს ქუჩა ქვითა, გაუკეთდეს წყლის სადენი არხები და ეუწყოს მის მეუფებას, რომ ტროტუარის გაკეთება სახლის პატრონების ვალიაო.

✦ ტფილისში ელექტრონის განათების პროექტი კომისიამ გარდასცა ინჟინერებს ეგოროვს და მუხარინსკის, რომ მათ ორის კვირის განმავლობაში წარმოეთქვათ თავიანთი აზრი ამ საგანზედ. ორი კვირა გუშინწინ უკვე გავიდა და ჯერ არაფერი არა ისმისრა. ნეტა თუ რა მიზეზი უნდა იყოს პასუხის დაგვიანებისა.

✦ 24 აგვისტოს მოხდა შეერთებული კრება გამგეობის წევრთა, ტეხნიკოსთა და საფინანსო კომისსიისა გოგოლის სახელობაზედ ძეგლის დადგმის შესახებ ალექსანდრეს ბაღში. გამგეობამ დაადგინა, შევიწყნაროთ პროექტი ძეგლისა, ვთხოვოთ ხოდოროვიჩს, რომ წარმოადგინოს სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და მიეცეს გამგეობას 4000 მანეთი ამ საქმისათვისო. თვალ-ყურის გდება მიენდოს ქალაქის საამშენებლო განყოფილებასაო.

✦ გუშინ-წინ ჩამობრძანდა ტფილისში კავკასიის მთავარ-მართებლის მეუღლე; ვოგზალზედ დაუხვდნენ; ტფილისის გუბერნატორი, კომენდანტი, ქალაქის თავი, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ლინდენი და მრავალი წარჩინებულნი. კნეინას ძვირფასი თაიგულები მიართვეს.

✦ 27 აგვისტოს გამგეობას ჰქონდა კრება შესახებ ტფილისის ტეხნიკოსთა სამეცადინო დროს განაწილებისა. გამგეობამ დაადგინა: დაევალოთ ქალაქის ტეხნიკოსებს, რომ მათ აუცილებლად იმეცადინონ გამგეობაში 12 საათიდგან 2 საათამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგინი დანიშნულნი იქნებიან გამგეობისაგან რაიმე საჭირო საქმეზედ.

✦ ამომრჩეველმა თამამშევმა გუშინ მიართვა გამგეობას ქაღალდი და სთხოვა გუბერნატორს: აქვს ნება ერთსა და იმავე კაცს ერთ საარჩევნო ნაწილშიც იყოს ამორჩეული და მეორეშიაც შეეძლოს ვისიმე ამორჩევა კანდიდატათაო.

✦ დღეს დანიშნულია ქალაქის დუქნების მეთვალყურე კომისიის კრება; კომისიამ უნდა შესცვალოს ნიხრი ხორცზედა და პურზედა.

✦ ქალაქის გამგეობას მუშებისათვის ჩაის წყლის ასადუღებლად და ხორცის სახარშად გადადებული აქვს 380 მანეთი; ქალაქის გამგეობამ მოიჯარადრეს ჩაჩაგიანს უბრძანა, რომ ამაზედ მეტს ნუ დახარჯავო; აგრეთვე დაიჭირეთ მეეზოვე, რომელმაც სახლის სისუფთავეს უგდოს ყურიო.

✦ ტფილისში ჩამოვიდა მინისტრის რწმუნებულის თანაშემწე ზოლოტარევი, გაიცნო შარშანდელი ნამუშავარი ბ-ნ მ. მაჩაბლისა და მოიწონა; ზოლოტარევი ამ ცოტა ხანში გაემგზავრება ბორჩალოსა და ალექსანდროპოლის მაზრებში მუშაობის ადგილობრივ გასაცნობად.

✦ მცხეთაში თითქმის იტაცებენ სააგარაკო ადგილებსა; ამ ცოტა ხანში შეუძენიათ ადგილი იმისთანა მდიდრებს, როგორც ზუბალაშვილს, თუმანიშვილს და სხვას; ზუბალაშვილის შენობას ხუროთ-მოძღვარი რაგოისკი აშენებს.

✦ იმ საფილოქსერო კომისიაში, რომელიც შესდგა გორისა და ტფილისის მაზრაში ვენახების დასათვალიერებლად სპეშნევის თავმჯდომარეობით, დანიშნულები არიან ასისტენტებათ: იოსელიანი, გოგნიევი და ზემმელი. კომისია უკვე შესდგომია ვენახების გამოკვლევასა.

✦ გუშინ გამოსცვალეს სხვა ქაღალდებზედ ტფილისის ქალაქის მე-III-ე სესხის ობლიგაციები.

✦ გუშინ იყო კრება იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს მომავალ 1903 წლისათვის გააწეროს ქალაქის სასარგებლოდ ტრაქტირებზედ ხარჯი. გამგეობამ, განიხილა რა სხვა-და-სხვა მუხლი, დაადგინა: გარდასახადის რაოდენობა დადგენილ იქმნას თანახმად 50 პარაგრაფისა; გარდასახადი ტრაქტირებისაგან მოიკრიფებოდეს იმის მიხედულობით, თუ როდის გაალეს ტრაქტირი, ე. ი. თუ ტრაქტირი გაალეს წლის მეოთხედის პირველში, მაშინ გარდასახადი მოეთხოვოს მთელის წლისა; თუ წლის მეორე ნაწილის დამდეგს, უნდა გარდაიხადოს სამი მესამედი და სხვა.

✦ ამ ჟამად ბორჩალოს მაზრაში, 19 სოფლის მიდამოში, ლორის საბოქაულოში (ჯელალი, გერგერი, პრივოლნოე, არმანაზ და სხვა) მუშაობს მამულის მომწყობთა დასი თ. მიხ. ვახტანგის ძის მაჩაბლის ხელმძღვანელობით. დასში მონაწილეობას იღებენ მუშაობის უფროსი მეთვალყურე მაკაროვი, 4 მზომელი ტეხნიკოსი და უფროსი პლანების შემდგენ მოხელეებისა. ამისთანავე მუშაობა სწარმოებს ალექსანდროპოლის მაზრაში, სადაც დანიშნულია უფროსად ბ-ნი გასნევსკი და ზაბაროვსკი, 10 მზომელი და უფროსი პლანების შემდგენ მოხელეებისა ბ-ნი სინელნიკოვი.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: გაიყიდოს პირველი ნახევარ წლის ძველი გაზეთები და ეს თანხა გადიდოს ბიბლიოთეკის გასაუმჯობესებლად.

✦ ტფილისის ქუჩებში ძაღლების დამხოცმა მოიჯარადრემ მიართვა გამგეობას ქაღალდი და აუწყა, რომ სექტემბრის დამდეგს დავიწყებ ძაღლების ხოცვასაო. 1 უბანში 1-ს და 2 სექტემბ., 2-ში 5 და 6; მე-3-ში 7 და 9; მე-4-ში 10 და 11; მე-5-ში 12 და 13 სექტემბერსა.

✦ 27 აგვისტოს, საღამოს 9 საათზედ, ავჭალის ქუჩაზედ კინაღამ ერთი საზარელი უბედურება დატრიალდა და თუ ამ ხანად ესე მშვიდობიანად გადარჩა ვინმე, შემთხვევის ბრალი იყო. ავჭალის ქუჩაზედ აურებელი დუქნებია, სადაც მხოლოდ ჯიბგირი და კინტო იფარავს თავსა; სახელდობრ, № 37 სახლში მოთავსებული დუქანი ამ მხრივ სახელ-განთქმულია; აქედგან მუდამ ერთი აურ-ზაური და ჟრიამული გამოდის ქალებისა და კაცებისა. აქ დუქნის კარებზედ ხშირად ჰნახავთ

---

*) ერთი თუ ორი შემთხვევა ვერ დაარღვევს ამ აზრს. თუ ერთმა და ორმა უცხო ტომისამ შესწირა რამ მცირედი სტიპენდიისათვის წოდების განურჩევლად, ერთმა და ორმა ქართველთაგანმაც არ დაიშურა და თითქმის ნახევარ მილიონი დასტოვა დედა-ქალაქის საკეთილ-დღეოდ.

ფელეტონი

ვაჭრული ჭკუა

(ხუმრობა)

ბედმა მისცა ერთ ვაჭარს
ისეთი კარგი ცოლი,
რომ სხვა აღარ ყოფილა
მისი ცალი და ტოლი:

—

თვალ-ტანადი, ლამაზი,
ქმარშვილის მოყვარული!..
როგორც დიასახლისმა
ოჯახს ჩაუდგა სული.

—

სიხარბით შენატროდა
მის ქმარს მთელი ქვეყანა:
„ქალი უნდა ოჯახში
სწორედო, ამისთანა!"

—

ქმარსაც, ამის გამგონეს,
თავი მოჰქონდა დიდად;
ცოლი ეგულებოდა
ცხოვრების გზად და ხიდად.

—

აფასებდა, ეტრფოდა,
ია და ვარდს უფენდა,
დათაფლული სიტყვებით
ცოცხლად სულში იძვრენდა.

—

ამბობდა: ერთ რამედ ღირს
ამის „ყაირათიო"
და მეც ამისთვის უნდა
დღე და ღამე ვათიო,

—

რომ ჩავაცვა-დავხურო,
„კლოკში გამოვახვიო",
კარგაც ვასვა-ვაჭამო...
სულ „თალიში ხახვიო".

—

ამას-კი ვენაცვალე,
არ ერგება განაო?
ოჯახში შემოვიდა,
ფეხიც მომიტანაო!

—

ერთი სიტყვით, ვაჭარი
აღარ ზოგავს არაფერს,
სიმართლით „თვალს უყენებს
შინ მოყვარეს, გარედ მტერს".

—

ყველგან, როგორც ობობას,
ქსელები აქვს გაბმული;
ხალხს ბუზებივით იჭერს
და არ უძღება გული.

—

სადაც-კი ხელს მიაწვდენს,
ყველგან ეპოტინება
და ქვეყანა რომ სტირის,
არ ესმის!.. ეცინება!..

—

მაგრამ ეს ცრუ სოფელი
დიდხანს ვის შერჩენია?
ის ტკბილად არ მოიმკის,
რაც-კი ღვთის საწყენია.

—

ამ ჩვენ დიდ ვაჟბატონსაც
გადაუბრუნდა ფეხი
და კინაღამ დაატყდა
თავზე რისხვა და მეხი.

—

ერთხელ ვეღარ აიღო
„პრავიანტის იჯარა",
ანგარიშში მოსტყუვდა,
ეწყინა და იჯავრა.

—

სთქვა: ეს რა მომივიდა?
აფსუს რუსის ფულებო!..
სხვას ამ გვარ სახეიროს
რაღას შევიგულებო?

—

ცოლმა უთხრა, ნუ ჯავრობ,
ღმერთი მოწყალეაო!
ვენაცვალე, ჯერ ჩვენთვის
არ-რა დაუკლიაო.

—

მე წავალ, აღთქმაცა მაქვს,
მოვილოცავ თელეთსო;
თუ ღმერთს უნდა ჩაგიგდებს
ხელში ზღვა და ხმელეთსო.

—

ქმარს იამა ეს რჩევა,
სევდა გადაეყარა.
ცოლმა-კი ფეხშიშველმა
თელეთი მოიარა.

—

თუმცა-კი ეს სალოცავი
იაფად არ დაუჯდა:
სასიკვდილო ანთება
შიგ გულ-ბოყვში გაუჯდა.

—

დაუძახეს ექიმებს,
მაგრამ, მისთანა თქვენს მტერს!..
მოსარჩენს... სასიკეთოს
ვერ ატყობენ ვერაფერს.

—

დაღონდა ამბარცუმა:
ეს რა მემართებაო,
რომ წყეული ანთებაო
მეც არ მემართებაო!!

—

ეს მოკვდეს და მე დავრჩე,
რა სამართალიაო?
ვინ სთქვა: კაცის მორჩენა
ექიმს შეუძლიაო?

—

ტყვილად ტყავი გამაძვრეს
სნეულს-კი ვერ არგესო
და მით ღვთისა და კაცის
ნდობა დამიკარგესო.

—

რათ არ მითხრეს, მორჩენა
რომ არ შეიძლებაო?
ახლა ვინღა ვიტირო:
ცოლი? თუ შეძლებაო?

—

ორ ცეცხლ-შუა საბრალო
უნუგეშოდ იწვოდა;
თავს ქვა და ლოდს ახლიდა,
რა ექნა არ იცოდა.

—

ამ დროს გაჩნდა ტერტერა,
უთხრა: რასა სწუხარო?
ღმერთს ბევრი შეუძლია,
უიმედო ნუ ხარო!

—

კარგი ცხენი რომა გყავს,
„ვალში აღებულიო",
გაჰყიდე და რაც მოგცენ,
ღმერთს შესწირე ფულიო.

—

დაეთანხმა ამბარცუმ,
აღთქმა დაუდვა უფალს
და მართლაც მომაკვდავი
გამობრუნდა... ახელს თვალს

—

მორჩა... ფეხზე წამოდგა,
რომ არავის ეგონა.
მაგრამ ქმარი ახლა-კი
სხვა ჯავრმა დააღონა.

—

ფიქრობს: ეს რა მივქარე!—
რად დავკარგე ცხენიო?
თურმე თავის-თავადაც
გადივლიდა სენიო.

—

ტერტერამ შემაცდინა,
ჭკუა დამიბნიაო.
ღმერთს ხომ მარხვა და ლოცვა
ყველას ურჩევნიაო?

—

და მაშ ცხენი რად უნდა?
ჩემთვისვე ვიგულებო.
ღმერთს-კი ლოცვას შევსწირავ,
თანაც ვიმარხულებო.

—

ეს რომ გულში გაივლო,
საქმე ისევ წაუხდა;
ხელ-მეორედ საშიშრად

მთვრალ დედაკაცსა და სხვა გვარ უწესობას. 27 ამ თვეს, ორ ჯიბგირს ერთის იუნკრისათვის ამოეცალათ ჯიბიდგან საათი; სდია, სდია ამ იუნკერმა ამ ვაჟბატონებს და ნახა, რომ იმ დუქხანაში შეჰყვეს თავი; იუნკერმა მოიწვია მაშინვე პოლიციელი და სთხოვა შეეპყრა ის ვაჟბატონები. პოლიციელმა, რასაკვირველია, სტაცა ხელი და პოლიციაში უპირებდა წაყვანას. ეს ამბავი ჯიბგირებს არ ეპიტნავათ, გაუძალდნენ პოლიციელებს, მოუშველდნენ ახლა სხვა კინტოები; პოლიციელებს კიდევ ეზოს ყარაულები და გაჩნდა კეტების ტრიალი. კინტოები იქამდის გაუძალდნენ პოლიციელებსა და მეეზოვეებს, რომ შემოაწყვიტეს ხმალი და რევოლვერი. ძლივ-ძლიობით ბოქაულის თანაშემწემ და მრავალმა პოლიციის მოხელემ წაათრიეს ეს ვაჟბატონები პოლიციაში. ერთ პოლიციელს იმდენი კინტოები დაეხვივნენ, რომ ხელთ ან ხმალი, ან რევოლვერი შერჩენოდა, უეჭველად იმითი მოიგერებდა ზედ მისეულ მტერს.

◆ ამ ერთის კვირის წინად გაზეთები გვაუწყებდნენ, რომ პოლიციელის ვაიზერის საქმე, რომელიც უბედად გარდაიცვალა ქუჩაში სამსახურის დროსა, ვერა და ვერ დამთავრდაო; ამ საქმის გათავება კი ის იყო, რომ თანახმად ტფილისის პოლიცმეისტერის თხოვნისა, ვაიზერის ქვრივ-ობლებისათვის ქალაქის გამგეობას დეენიშნა ფულით შემწეობა. პოლიცმეისტერის ამ თხოვნაზედ ქალაქის გამგეობამ მისწერა—შეგვატყობინეთ, რა ქონება დარჩა ვაიზერს, ან რამდენი ხანი მსახურებდა, რამდენი შვილი დარჩა და სხვა ამგვარი ცნობა, რაც საჭირო იყო გამგეობისათვის. არ გასულა ორი-სამი კვირა, რომ გამგეობამ, პასუხის მაგიერ, გუბერნატორისაგან მიიღო მოწერილობა, მალე დაუნიშნეთ შემწეობა პოლიციელის ოჯახს და დააკმაყოფილეთ პოლიციის თხოვნაო. ამ სამის დღის წინად ქალაქის გამგეობამ ხელ-მეორედ მიჰმართა ტფილისის პოლიციის გამგეობას და სთხოვს, მალე გვაცნობეთ პასუხიო.

ჩვენებური ამბები

ჭიათურა. მასწავლებელი ბ-ნი ვაშაძე კეთილსინდისიერად მსახურებდა აქაურს სკოლებში, ბევრი კარგი საქმე გააკეთა, ბევრი ყმაწვილი გამოზარდა. დღეს იგი მასწავლებლობას თავს ანებებს. ჭიათურელები იმედოვნობენ, რომ მისთანავე მადლიანს მასწავლებელს გაუმწესებენ მათ შვილების აღსაზრდელად.

ე. კ—ი.

—

აკეთი (გურია). სოფელ აკეთში ფრიად გახშირებულია მოშლილ საათებისა და სხვა დაძველებულ ნივთების ლატარიაში ჩაგდება და გასაღება და ამ ლატარიობის დროს ჩხუბი და დავი-დარაბა. აგრეთვე დიდსა თუ პატარას მოსდებია ბანქობანას ცეცხლი...

ო.

—

დიდი-ჯიხაიში. აგერ რვა თვე სრულდება, რაც დიდი-ჯიხაიშის ქსენონი გაიხსნა და საკუთარს შენობას-კი მოკლებულია. საზოგადოების სასამართლოს შენობა, რომელშიაც ეს ქსენონი მოთავსებულია, ვერ აკმაყოფილებს ქსენონის მრავალ საჭირო მოთხოვნილებებს.

ხუთშაბათს, 22 აგვისტოს, ბ. ქ. დ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით მოხდა დიდი-ჯიხაიშის ქსენონის კომიტეტის წევრთა კრება და აღმოჩნდა, რომ კეთილნებობითი შემოწირულება ქსენონს 1,000 მან. მეტი ჰქონია (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შემომწირველთა სიაში არიან ექვთიმე ვაშაკიძე (რაჭის მაზრის ექიმი), ნ. ნიკოლაძე და ქუთაისის ქალაქ. თავი დ. ა. ლორთქიფანიძე. ამათგან პირველს—250 მ. შემწეობა აღუთქვამს და მეორეთ ას-ასი). თუმცა მომავალ შენობის ასაგებად, სახლის გეგმის მიხედვით, 2,000 მანეთიც არა კმარა და ჯერ-კი მარტო 1,000 მანეთის იმედია, მაგრამ კომიტეტმა ერთხმად დაადგინა: „მოიპოვოს აშენებული სახლი და რაც 1,000 მან. მეტი დაიხარჯება, ჯერ-ჯერობით თვითონვე კომიტეტის წევრებმა ვექსილით გადაიხადონ ჵ თუ შემოწირულმა ან სხვა რამ წყაროებიდგან შემოსულმა ფულმა (კომისიამ გადასწყვიტა მთავრობისაგან 1,000 მანეთამდე შემწეობა გამოითხოვოს) ვერ დააკმაყოფილა იმ შემთხვევაში ქსენონის სახლი ბანკში იქმნება დაგირავებული და იქიდგან მიღებულ ფულით კომიტეტის წევრებიც დაკმაყოფილებულ იქმნებიან. ამ საქმის მოსაგვარებლად არჩეულ იქმნენ: ს. ლორთქიფანიძე, ა. ნუცუბიძე, ვაშაკიძე და რუხაძე.

ბარნაბა გელა.

—

სოხუმი. ყვავს შვილი მოუკვდა და ბუს მიუტანა—დიდი თავი გაქვს და შენ იტირეო. სწორედ ასე იქცევა ჩვენი ქალაქის გამგეობა. აგერ ოთხი წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც სოხუმში თვით-მმართველობა დაარსდა და ამ ხნის განმავლობაში ერთი წლის ანგარიშიც არ წარდგენილა იქ, სადაც ჯერ-არს. ამ დღეებში მოწერილობა მოუვიდა ქალაქის მოურავს ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორისაგან (10 ივლისი № 563), რომ დაუყოვნებლივ წარადგინოს 1899 წლის ანგარიში და თანაც აუხსნას—რაში მდგომარეობს საქმე, რომ სარევიზიო კომისია და საბჭო ხელ-მეორედ შედგენას თხოულობენ ანგარიშისასაო. ამ საკითხიდგან ცხადად სჩანს, რომ გამგეობას ანგარიშის წარდგენის დაგვიანება კომისიისა და საბჭოსათვის მოუხვევია თავზე, მაგრამ ამ დაკითხვაზე განსამარტებელი წერილი წარუდგინა სარევიზიო კომისიამ გამგეობას, რომ ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია ვისმესთვის დაგვევალებინოს ანგარიშის ხელ-მეორედ შედგენა, არამედ ვთხოულობთ—წეს-რიგში იქმნეს მოყვანილი ანგარიშთან დამოკიდებულების მქონე საბუთები.

წარსულის წლის ბოლოს ჟურნალ „ბუდილნიკის“ ერთ-ერთს ნომერში შემდეგი ხმოსნების საყურადღებო რომანსი უძღვნა ვიღამაც ჩვენს მოურავს „не разсуждать, не разсуждать—на то есть голова“. რამდენად მართალი გამოდგა ეს ჩვენი მოურავის თვითნებობის გამომხატველი რომანსი, ცხადად სჩანს შემდეგ გარემოებიდგან: ამას წინად მოურავი ბ-ნი დ—ვი ორის თვით იქმნა დათხოვნილი პეტერბურგში და ქალაქის საქმეები მის მაგივრად დარჩენილს მოურავის თანაშემწეს კორჩიცს ჩააბარა, მაგრამ წარმოიდგინეთ გაკვირვება ბ-ნის კორჩიცისა, როდესაც ბ-ნმა დიმიტრიევმა ყველაფერი ჩააბარა მას, გარდა კასისა, რომელიც მის მიერვე დაქირავებულს კასირ-ქალს სკლ—სკაიას დაუტოვა. ამისთანა არა ნორმალურმა განკარგულებამ ბ-ნის მოურავისამ აიძულა ბ-ნი კორჩიცი საბუთიანი პროტესტი გამოეცხადებინა და თანაც სარევიზიო კომისია იქმნა მიწვეული, რომელიც შეუდგა კასის საქმეების გარჩევას ბ-ნ ნესტორ გოგიჯანაშვილის თავმჯდომარეობით. ამ რევიზიამ შემდეგი საყურადღებო გარემოება აღმოაჩინა: როდესაც ბ-ნი დიმ—ვი პეტერბურგს წასულა, წერილობითი ბრძანება დაუტოვებია კასირისათვის, რომ არამც და არამც არაფერი პასუხი გასცე კასის თაობაზედ ჩემს მოადგილეს ბ-ნ კორჩიცსაო. ამისთანა განკარგულება ბ-ნის მოურავისა მით უფრო გაუგებარია, რომ კასირი-ქალი უბრალო დაქირავებული პირია მოურავის მიერ ჵ, მაშასადამე, უნდა ექვემდებარებოდეს როგორც მოურავის, ისე მისი მოადგილის ყველა ბრძანებას, და, თუ ეს ასეა, მაშინ არამც თუ ნება აქვს ბ-ნ კორჩიცს პასუხი მოსთხოვოს კასირს, არამედ შეიძლება სრულიადაც დაითხოვოს.

როდესაც კასსა გასინჯა კომისიამ, აღმოჩნდა, რომ აკლდა 672 მან. 33 კაპ. და ამ ფულის მაგივრად წარმოდგენილ იქმნა „რასპისკები“, რომლებითაც ვითომ გამგეობაში მოსამსახურეთ ჯამაგირი მიეღოთ წინდაწინ და ისიც არა 672 მან. 33 კაპ., არამედ 763 მან. 33 კ., ე. ი. 91 მან. მეტი, ვიდრე კასაში ფული აკლდა.

რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ „რასპისკებით“ მიღებული არ ჰქონდეთ ფული. „რასპისკები“ უბრალო ქაღალდებზეა დაწერილი, ზოგიერთი ორი თითის დადება ნაკუწზე, ზედ არ აწერიათ არც რიცხვი და არც მოურავის ნებართვაა ნაჩვენები.—ყველა ამას ეჭვში შეჰყავს ადამიანი.

ამ ეჭვს აორკეცებს ისიც, რომ „რასპისკები“ აღმოჩნდნენ არამც თუ იმ პირთაგან მიცემულნი, რომელნიც ეხლა მსახურებენ გამგეობაში, არამედ იმათგანაც, რომლებიც ამ ორის თვის წინად იქმნენ დათხოვნილნი საბჭოსაგან, როგორც მაგალ. ინჟინერი სატუნინი და ტეხნიკოსი კოლოკოლოვი. ამათ „რასპისკები“ მიუციათ—ივლისის ჯამაგირი მივიღეთო.

აი ამ ნაირის „რასპისკებით“ უძღევია ფული...

კომისიამ უკანონოდ სცნო აგრეთვე მოურავის მოქმედება, რომ საბჭოს დაუკითხავად წინ-და-წინ მიუღია მას ორის თვის ჯამაგირი. ყველა ამ ზემოხსენებულ უწესოებების გამო კომისიამ შეადგინა ჯეროვანი ოქმი, რომელიც მომავალს კრებაზე მოხსენდება საბჭოს.

მექი.

—

კიბე (ქვედა აჭარა). **ახალი სამოსამართლო წესები აჭარაში.** დიდად საინტერესოა ჩვენთვის ვიცოდეთ, თუ ვიდრე რუსეთი დაიპყრობდა ამ კუთხეს, მინამ რა სამოსამართლო დებულება არსებობდა ქართველ მაჰმადიანთა შორის, ან შემდეგ დროს როგორ იყო ესა და ან დღეს რა წესები არსებობს მათ შორის. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ მოკლედ მოგახსენოთ შემდეგი:

რუსეთისაგან დასავლეთ საქართველოს აღებამდე აქ არსებობდა შემდეგი წესები:

სოფელს და დაბას ჰყავდა მუხთარი; მუხთარი განაგებდა მთელი სოფლის საქმეს: ჰკრებდა სახელმწიფო გადასახადს, სამხედრო კაცებს და ყველა ამგვარს გარდასახადებს. სოფლის საქმეების მართვა-გამგეობაში მას ეხმარებოდნენ სოფლის თავი, მოხუცებული კაცები. მუხთარსვე უნდა თვალ-ყური ედევნებინა ქურდებისა და ყაჩაღებისთვის, ესენი უნდა დაეჭირა მას და მუდერისისათვის წარედგინა, სადაც გასამართლება მოელოდა. მუხთარის ხელ-ქვეითს „იხტიალი“ ეწოდებოდა, თითო მუხთარს თითო სოფელი ებარა.

რამდენსამე სოფელს ერთი მუდირი ჰყავნდა, მუდირს ებარა „მეჯლისის“ გამგეობა, მეჯლისში მსახურებდნენ ყადებიც, რომელნიც „ყურანის“ ძალით განაგებდნენ. ამათ ხალხისაგან სასყიდელი არაფერი ეძლეოდათ, ყველა ესენი, ანუ მუხთარი, ის ტიალი, მუდერი და სხვანი ბათუმის კაიმაკანს ემორჩილებოდნენ, რომლისაგანაც ეძლეოდათ ყოველნაირი ბრძანება. ამათ გარდა სოფელს ჰყავნდა ჯამეს გამგე, ჩვენებურ მნათეს მსგავსად, რომელსაც სახელად „იმამი“ ეწოდებოდა. იმამი განაგებდა სოფლის სასულიერო საქმეებს, ანუ ჯამეს ჰპატრონობდა და, როცა ხოჯა ან მოლა არ იქნებოდა, მაშინ იგი სხვებს დაიქირავებდა.

აქაური სოფლები ამ წესებით დახვდა რუსეთის მფლობელობას და დღემდე აქ ეს წეს-წყობილება არსებობდა. დღეს-კი ყოველივე ესე შეიცვალა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ოსმალური წეს-წყობილება მოისპო და მის მაგიერ ჩვენებური განწესდა.

დღეს ზედა-აჭარა სამს სამამასახლისოს შეადგენს, ქვედა აჭარაც ასევე სამს. ქვედა აჭარა შესდგება 2600 მოსახლისაგან, ზედა აჭარა-კი ამაზედ მეტია. მამასახლისის გამგეობა შესდგება შემდეგის პირებისაგან: მამასახლისს ჰყავს ერთი რუსული ენის მწერალი, რომელიც მის ხელქვეითობასაც ასრულებს. მეორე ჰყავს თათრული ენის მწერალი „ქათიბი“. ასეთი მწერალი მხოლოდ იქ არის, სადაც მამასახლისმა თათრული ენა არ იცის. ამათ გარდა ჰყავს კიდევ ცხენოსანი ერთი, ქვეითი ორი და სამმართველოს მოსამსახურე ერთი. ჯამაგირად ეძლევათ:

მამასახლისს წელიწადში 300 მ., მწერალს, რუსულის მცოდნეს 400 მ., მეორე მწერალს 150 მ., ცხენოსანს თვეში 15 მ., ქვეითს 10 მან. ბიჭს 8 მ. სამმართველოს ხარჯი: გასანათი, შეშა, ქაღალდი, მელანი და კალამი 180 მ.

სამმართველოში საქმის წარმოება რუსულსა და თათრულ ენაზედ სწარმოებს, თუმცა ქართული ენა უფრო იხმარება. მიწერ-მოწერა და ყოველივე თათრულად სრულდება. ამ მოსამართლეთა გარდა, თითო ნაწილს თავის შუაგულს დაბაში აქვს მეჯლიში, ჰყავს ყადები და მთელი კუთხის საქმეებს ამ ყადების საშუალებით განაგებენ.

ასე და ამ გვარად, მთელი ქართველთ მაჰმადიანთ ცხოვრების წესები შეიცვალა. დღეს მას უფრო ქართული ცხოვრების სახე მიენიჭა, ხოლო სამმართველოებში რომ ოფიციალურად ქართული ენა იქმნეს შემოღებული, მაშინ უფრო უკეთესად მოეწყობა სამოსამართლო წესები. ამას ჩვენ თამამად ვამბობთ, რადგანაც ამ მოკლე დროს ჩვენის თვალით ვნახეთ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა სულ არ იციან ის ენები, რა ენებიც-კი არის ხმარებაში მიღებული. თვით ოსმალური ენაც-კი არ იციან მრავალთა, რომელთაც მთარგმნელების მეოხებით ოსმალურათ ესაუბრებიან, ქალებში ხომ ოცში ერთმაც არ იცის.

პატივცემულმა ვეიდენბაუმმა ძრიელ კარგად იცის ამ ერის პირობები და გარემოება. იგი ერთს თავის წიგნში ამბობს, რომ ოსმალეთის საქართველოს სამმართველოებში ოფიციალურ ენად ქართული ენა უნდა იყოსო. ქართველ მაჰმადიანებს ისევ ქართული ენა დაუკავშირებს რუსეთის ერსა, ამიტომ დიდათ სანატრელია ამ აზრის განხორციელება დასავლეთ საქართველოში, ქართველ მაჰმადიანთა შორის ოფიციალურ ენათ ქართული ენის მიღება და ხმარება.

ბ-ნი ვეიდენბაუმიც ამას ითხოვს, იგი ადგილობრივ, რუსთა წარჩინებულ კრებულს ეკუთვნის. მან აღმოსავლეთის ერთა ისტორია კარგად იცის და ნამეტურ გვარიანად იცნობს ქართველ მაჰმადიანების ყოფა-ქცევასაც და იგი სამართლიერად ბრძანებს, რომ რუსის მთავრობამ ქართველ მაჰმადიანთათვის დაახლოვების და გაქართველების იარაღად ქართული ენის ხმარება უნდა შემოიღოსო.

რუსეთი

— „Бирж. Вѣд.“-ს სარწმუნო წყაროებიდგან შეუტყვია, რომ გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი ამ ჟამად ათავებს თავისს ახალს თხზულებას კავკასიის 1852 წ. ცხოვრებიდგანაო. რომანს სახელად „ჰაჯი მურატი“ ეწოდება.

— წელს მოსკოვის უნივერსიტეტში 1,100 ახალი სტუდენტი მიუღიათ, რომელნიც აგვისტოს 26-სა და 27-ს უნდა გამოსცხადებოდნენ რექტორსა და სტუდენტთა ინსპექტორს.

— მოსკოვის სამაზრო ერობის გამგეობას გადაუწყვეტია ხელი მოუმართოს საერობო სკოლებში მოსამსახურე მასწავლებლებს და მათდამი რწმუნებულს სასწავლებლებში თავისუფალი ადგილი უსასყიდლოდ დაუთმოს მათ.

მომავალ სამოსწავლო წლიდგანვე გამგეობამ მასწავლებელ ქალებისათვის შეინახა ათი თავისუფალი ადგილი ადგილობრივ დედათა საოსტატო სემინარიაში, რომელიც ერობის ხარჯითაა დაარსებული.

— „Русс. Турк.“-ში მეტად საყურადღებო წერილია მოთავსებული ერთის მეტრანპაჟისა.

„ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ადამიანის სხეულში ყველაზედ უფრო ძვირფასი ნაწილი თვალია. ხელის, ფეხის, თუ გინდ სმენისა და მეტყველობის დაკარგვას კაცი, ასე თუ ისე, კიდევ შეურიგდება, მაგრამ მხედველობის დაკარგვისაგან-კი ღმერთმა მტერიც-კი დაიფაროს! ეს ორგანო ყველასათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მაგრამ განსაკუთრებით საჭიროა თვალის სისაღე მათვის, ვინც სტამბაში მუშაობს ასოთ-ამწყობად, რომელთაც ათასგვარი სხვა-და-სხვა ხელ-ნაწერი უნდა გაარჩიონ დაააწყონ. კიდევ კარგი, თუ ხელნაწერი გარკვეულის ხელითაა დაწერილი. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, უმეტეს შემთხვევაში ისეთ ხელნაწერს გზავნიან, რომ ყოველს სიტყვას, ყოველს ან-ბანს უნდა რამდენიმე წამი ჩაჰკირკიტებდე, რომ გამოიცნო იგი. წარმოიდგინეთ მხოლოდ, როგორ უნდა ჩაუკვირდეს საბრალო მუშაკი, რამდენს უნდა ეწვალოს და ეჯახიროს იგი, რომ მიხვდეს—რის დაწერა უნდოდა ავტორსაო! ბ-ნნო მწერალნო და გაზეთის თანამშრომელნო! ყველა ასოთ-ამწყობთა სახელით მოგმართავთ თქვენ უმდაბლესის თხოვნით: იწამეთ ღმერთი და სწერეთ გარკვევით! თუ თქვენის ნაწერის გაურკვევლობას თვით რედაქტორიც ხშირად ჩაუფიქრებია და თითქმის სასოწარკვეთილებაში ჩაუგდია, რაღა გვეთქმის ჩვენ, ძლივს-ძლივობით მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნეთა?! ნუ დაივიწყებთ, რომ ის დაკარგული დრო და შრომა, რომელსაც ასოთ-ამწყობნი თქვენის ხელთ-ნაწერის გარჩევასა და ამოკითხვას ანდომებენ, მძიმე ტვირთად აწვება ისედაც დაჩაგრულსა და გაჭირვებულ კაცს, ლუკმა პურისათვის გამუდმებულად მომუშავეს. თქვენ რომ ცოტა მეტის ყურადღებით მოექცეთ თქვენს ნაწერს, ეცადოთ გასაგებად, გარკვევით ან-ბანის გამოყვანას, ეს არაფრად დაგამძიმებთ და ჩვენ-კი გვიხსნით უდროოდ დაბრმავებისა და მის ჯოჯოხეთურ შედეგისაგან“.

ვისაც ასხიან ყურნი სმენად, ისმინონ!

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. ახალგაზრდა ჩეხთა კლუბის მოთავე პაცაკი წერილობით აცხადებს, რომ მისი დასი უეჭველად ობსტრუქციას მიჰმართავს, თუ ჩეხების ნაციონალური მოთხოვნილებანი არ იქმნა დაკმაყოფილებულიო. ჩეხების ტაქტიკამ უნდა გამოარკვიოს საკითხი, არსებობს ავსტრიაში ეროვნებათა თანასწორობა, თუ მხოლოდ გერმანელები არიან დანარჩენ ტომებზედ გაბატონებულნიო. თუ ჩეხების მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილა კერბერმა რეიხსრატში, უსათუოდ დამარცხდება ავსტრია-უნგრეთის შეთანხმებაო. იგინი თხოულობენ, აღადგინეთ ჩეხური ენა ჩვენს ოლქებში და დაგვიარსეთ ჩეხური უნივერსიტეტი მორავიაშიო; ეს ორთავე მოთხოვნილება უეჭველად უნდა დააკმაყოფილოს მთავრობამ, თორემ ერთ-ერთის შესრულება ჩვენ ვერ დაგვამშვიდებსო.

ოსმალეთი. სერბიის მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ დაიხუროს სტამბოლში დაარსებული სერბიის ლიცეიო. სამაგიეროდ დაარსებულ იქმნება პირველ-დაწყებითი სკოლა, რომელიც უფრო შეესაბამება სტამბოლელ სერბთა სწავლის მოთხოვნილებას. ამას შემდეგ ოსმალეთში მხოლოდ ორი ლიცეი დარჩება სერბებისა: სალონიკში და უსკიუბში.

ჩინეთი. პეკინში მყოფ ამერიკის ელჩი კონჯერი ახლო მომავალში მოლაპარაკებას გაჰმართავს ჩინეთის მთავრობასთან, რომ ამერიკასთანაც ისეთივე სავაჭრო ხელშეკრულობა დასდოს, როგორიც ინგლისთანა აქვს. კონჯერს ამერიკიდგან მიუღია მოწერილობა, ჩინეთმა უეჭველად იგივე შეღავათი უნდა მოგვცეს, როგორსაც ინგლისს აძლევსო.

შუა ამერიკა. ოქუმანეს მახლობლად აგვისტოს 16 ინსურგენტების მხარეს გადასულა მთავრობის რაზმი—550 კაცი. ინსურგენტებს ტყვედ წაუყვანიათ გენერალი კასტალი. მეორე რაზმი მთავრობისა—600 კაცი—რომელსაც უნდოდა გერმანიის რკინის

ცოლი ავად გაუხდა.

—

მაშინ-კი სთქვა: გარისხდა,
ღმერთი, ვენაცვალეო,
ნუ მომკითხავს და აღთქმას
ავუსრულებ მალეო!!

—

გავყიდი, ფულად ვაქცევ
იმ ჩემ ბედაურსაო
და ღმერთს-კი არ დავაკლებ
მე არც ერთ შაურსაო.

—

გადმოიყვანა ცხენი,
თუმც ბევრი-კი იტირა,
და მასთან ერთად კატაც
ცალ ხელში დაიჭირა.

—

გავიდა მოედანზე,
შეუდგა ღვთის სამსახურს...
მაგრამ აქაც „არა სწვავს
არც მწვადსა და არც შამფურს“.

—

რომ ჰკითხეს ცხენის ფასი,
დააფასა შაურად,
თან-კი ერთიც პირობა
დაუდვა უცნაურად:

—

რადგან ცალკე არ ვყიდი,
უკატოდ ბედაურსო,
კატაც იმან იყიდოს,
ვისაც ეს ცხენი ჰსურსო!

—

უპასუხეს: მაშ კარგი
კატას რას სდებ ფასსაო?
— არც მეტსა და არც ნაკლებს,
მანეთს ორჯერ ასსაო.

—

— კაცო, ეი, რას ამბობ?
შეშლილი ხარ მგონიო:
კატის მაგდენის ფასის
ვინ არის გამგონიო?

—

— შაურად რომ ცხენს ჰყიდდნენ
განა-კი გინახავთო?
თუ ეს ერთი-კი მოგწონსთ,
მეორეს რად მძრახავთო?

—

კატა თუ გეძვირებათ,
ცხენი იაფიაო,
„ბარი-ბარში“ გამოდის,
ჩემი ქეიფიაო.

—

გაეცინათ მყიდველებს:
რა კაცი ყოფილაო?!.
თავის-ნათქვამა არის,
ჩვენ-კი გაგვაწბილაო.

—

სულ ერთია, ეს ცხენიც
ოცად განა არ ღირსო?
მოდი კატაც ვიყიდოთ
ნუ გავუტეხთ ჩვენც პირსო.

—

ზედ ნადებ კატის ფასად
მისცეს ოცი თუმანი
და ვაჭარს აუსრულეს
განზრახვა და „გუმანი“.

—

კატის ფასი თავისსა
სასარგებლოდ გადასდვა
და ცხენში რაც აიღო,
ის-კი უფალს მიართვა.

—

ამგვარად მან ვითომდა
პირობა აასრულა
და ისაც გაამართლა,
რაც ხალხში სიტყვა თქმულა:

—

„ნიჭით და მოხერხებით
განთქმულია ბერძენი
ურიაც ნაქებია,
როგორც მხნე და შემძენი.

—

მაგრამ სულ სხვა გვარია
სომხის ხერხი და ჭკუა:
დახეთ, გაჭირვების დროს
ღმერთიც-კი მოატყუა!

აკაკი.

გზაზედ კარაგაზსა და ვალენსიის შუა მიმოსვლა აღედგინა, დამარცხებულ იქმნა ლესტოკესის მახლობლად; ლესტოკესი ამ ჟამად ინსურგენტთა ხელშია.

სამხრეთ-აფრიკა. ლორდ მილნერს განკარგულება მოუხდენია გასულ კვირაში, რომ ყოველმა მოზრდილმა ადგილობრივმა მკვიდრმა წლიურად 2 გირვანქა სტერლინგი უნდა იხადოსო; გარდა ამისა, ორ-ორი გირვ. სტერ. უნდა იხადონ იმათაც, ვისაც ერთ ცოლზედ მეტი ეყოლება. ამ გადასახადის პასუხის მგებლობა დაეკისრათ ადგილობრივ თავადებსა და მამასახლისებს. ლორდ მილნერს, ალბად, ის განზრახვა აქვს, რომ ასეთის შევიწროებით მაღაროებში მუშაობა აიძულოს შავკანიანებს.

— სამხრეთ-აფრიკის ახალშენთა მდგომარეობის შესახებ მრავალი სხვა-და-სხვანაირი აზრი გამოითქვა ინგლისის ჟურნალ-გაზეთებში. წინად ჰგონებდნენ, ოღონდ ზავი ჩამოვარდეს და ახალშენების ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო. ლონდონელი გაზეთი „Truth“-ი ასეთს აზრს გამოსთქვამს ამის შესახებ:

სანამ სხვა პოლიტიკას არ დაადგება მთავრობა, ყოვლად შეუძლებელია რაიმე ხეირი დაეყაროს სამხრეთ-აფრიკის ახალშენებს. მართალია, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ინგლისურმა ელემენტმა ფეხი მოიკიდოს ახალშენების ქალაქებსა და სოფლებში, მაგრამ ამისათვის განა საჭიროა ჰოლანდიურ მეურნეთა ელემენტის განდევნა?! პირ-იქით, ყოველის ღონის ძიებით მათს კეთილ-დღეობასაც უნდა შევუწყოთ ხელი. ჩვენის აზრით აუცილებლად საჭიროა, რომ ისეთი ბურები, როგორც ბოტა და დელარეია, საკანონმდებლო საბჭოს წევრად იქმნენ მიწვეულნი; წევრებადვე უნდა მიიღონ უიტლენდერთა წარმომადგენელნიც. რაც შეიძლება მალე უნდა მივსცეთ თვით-მმართველობა ამ ახალშენებს. მთავრობა უნდა ეცადოს, რომ ხალხი გავიდგამოვიდეს, მიიწ-მოიწიოს და არა ერთ ადგილს შეიჯგუფოს. იმ ადგილებში, სადაც მხოლოდ მეურნე ბურები სცხოვრობენ, უნდა დაინიშნოს რეზიდენტი, რომელსაც პატივისცემა და გავლენა უნდა ჰქონდეს მათ შორის. ქალაქებში, მაგ., იოჰანესბურგსა და პრეტორიაში, უსათუოდ მალე უნდა დაარსდეს მუნიციპალიტეტი და შემოღებულ იქმნას საერთო არჩევნები მუნიციპალურ საბჭოთა წევრების ასარჩევად. ჩვენ ნება არ უნდა მივცეთ პორტუგალიელ ახალშენთა შავკანიანებისათვის, რომ იგინი ბურების ახალშენებში გადასახლებულიყვნენ და მათ მღვიმე-მაღაროებში მუშაობა დაეწყოთ. კიდევ უმჯობესი იქნებოდა, რომ სრულიად აღგვეკრძალა შავკანიანთათვის მაღაროებში მუშაობა. მაშინ მათ მაგიერ მეტი თეთრ-კანიანი დაიწყებდა იქ მუშაობას, თავს მოუყრიდა ცოტაოდენს თანხას და ისევ ინგლისს დაბრუნდებოდა. ამავე დროს ახალშენთა მცხოვრებნიც თანდათან შეეჩვეოდნენ ამგვარ მუშაობასა და არ იქნებოდნენ მარტო შავკანიანების შემყურენი. აი, ყოველივე ამას უნდა მიაქციოს მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება, თუ უნდა რომ ახალშენები აღორძინდეს და განვითარდეს.

შეერთებული შტატები. პიტსბურგის გაზეთ „Volksblatt“-ში მოყვანილია სენ-ლუის გამოფენაზედ მომხდარ კონგრესის წარმომადგენელის ბარტოლდის აზრი პრეზიდენტ რუზველტის შესახებ. ბარტოლდი ჩამომავლობით გერმანელია; რუზველტის ოჯახობასთან მეტად დაახლოვებულია—ოცი წლის ნაცნობობა აქვს—და, უეჭველია, ყოველივე მისი შინაური საქმეები დაწვრილებით ეცოდინება.

ბარტოლდმა განაცხადა, რუზველტი ერთგული მეგობარია გერმანელებისაო. რაც უნდა იძახოს დემოკრატიულმა დასმა, რუზველტს გერმანელებისადმი გული არ უდევსო, მაინც ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ პრეზიდენტი სულით და გულით მეგობარია მათიო.

რუზველტი დიდი თაყვანის მცემია გერმანიის ლიტერატურისა და მეცნიერებისა; თავის შვილებსაც გერმანულადა ზრდისო.

ალბანია. „Massager b'Athenes“-ში აღწერილია, როგორ მიიღეს ალბანელებმა იტალიის ესკადრა. არამც თუ ქრისტიანი ალბანელები, მაჰმადიან-ალბანელებიც-კი მეტად გულცივად დაუხვდნენ ესკადრას. იტალია სულ იმას ოცნებობს, რომ ადრიატის ზღვა როგორმე ხელთ იგდოს, მაგრამ ალბანელებს-კი არწმუნებს, მე მხოლოდ თქვენი განთავისუფლება მწადიან და სხვა არა-რაო. მაგრამ ალბანელებს კარგად ესმისთ იტალიის გაიძვერობა და მიტომაც ასე გულ-გრილად დაუხვდნენ მათს ესკადრასაო.

სხვა-და-სხვა წერილები

ჭიათურა (შორაპნის მაზრა), პასუხად „კვალის“ კორესპონდენტს. „კვალის“ № 35-ში დაბეჭდილია წერილი ა. კობიძისა შესახებ ჭიათურის სამკითხველოსი და მისი გამგისა, რომელიც, როგორც მკითხველი დარწმუნდება, მოკლებულია სიმართლეს. ბ-ნი კობიძე სწერს, რომ სამკითხველო არასასურველ მდგომარეობაშიაო. სამკითხველოს გამგეს სამი თუმნის მაგივრად ხუთი თუმანი გაუხადესო. მტკნარი სიცრუე გახლავსთ, ჩემო კობიძე, თქვენი ნათქვამი. გამგეს ხუთი თუმანი-კი არა ოც და ხუთი მანეთი ეძლევა თვიურ ჯამაგირად და ეს არც ბევრია, როგორც თქვენს მაღალ აზროვნებას ჰგონია. რაც შეეხება იმას, რომ ვითომ გამგე მხარ-თეძოზე წამოწოლილი იღებდეს ჯამაგირს, ეს ხომ თქვენი მეცნიერების ნაყოფია.

ძილში-კი არა, მთელი დღე ტუსაღისებრ სამკითხველოშია გამომწყვდეული, რომლისათვის ჩვენ ამხანაგები ვზრახავთ კიდეცა. სამკითხველო ღიაა დილის 6 საათიდგან ღამის 11 საათამდის. სამკითხველოში წიგნები არ იშოვებაო,—ესაც არ არის მართალი. თუ თქვენისთანა პოეტების ნაწერებს არ იძენს სამკითხველოს გამგეობა, ამაზედ ნურას უკაცრავად. და შესახებ თქვენის გულშემატკივრობისა თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ეს თქვენი წერილი ნაყოფია შურიანობისა და უფრო იმან გამოიწვია, რომ „ივერიის“ 175 №-ში ჭიათურის თეატრის „ძალათ მსახიობთ“ შესახებ წერილი დაიბეჭდა…

წერილი
რედაქციის მიმართ

ტაშკენტი (სირდარიის მხარე). გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით გამოუთქმელი მწუხარება გამოვუცხადოთ ქ. ნატალია მერაბის ასულს და ყველა მახლობელთ და ნათესავთ ჩვენის დრამატურგისა და ქართულის თეატრის ერთგულის მუშაკის აქსენტი ანტონის-ძე ცაგარლის უდროოდ გარდაცვალების გამო.

არ შეგვიძლიან ჩვენც, ამა შორეულს ქალაქსა და ქვეყანაში გადმოკარგულმა ქართველობამ, ჩვენი მწუხარება არ გამოვსთქვათ და არ შევუერთოთ საზოგადო მწუხარებას!.. ჩვენთვის საერთოდ, როგორადაც ყველა ქართველისათვის, დიდი დასაკლისია აქსენტის დაკარგვა.

ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, აქ მყოფმა ქართველობამ ძლიერ გვიან გავიგეთ ასიკოს გარდაცვალება (ფოსტა აქ მოდის მეექვსე დღესა), მაგრამ, როდესაც გაზეთებმა გვაუწყეს მისი გარდაცვალება, საერთო მწუხარებას [illegible], რადგანაც ვგრძნობდით და ვგრძნობთ, რომ დიდი და უძვირფასესი განძი იყო ის ჩვენთვის, ჩვენის მწერლობისა, ხელოვნებისა და თეატრისათვის. დიაღ, სამწუხაროა ისეთი მუშაკის გამოსალმება ამ წუთი-სოფლად, რომელიც უდგამს სულს რაიმე საქმეს და თვისის შრომა-მოქმედებით მსურველია გაამდიდროს ხელოვნება! და რომ ხელოვნება აჰყვავოს და აღამაღლოს, უნდა შეგწევდეს ძალა და ნიჭი. და აი, ამით იყო დაჯილდოვებული ჩვენი მოღვაწე ასიკო. ჩვენს ქვეყანას ნაკლებადა ჰყავს ერთგული მამულისა და ქართულის ენის მოსიყვარულე და მოტრფიალე!..

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ასიკო! შენი საპატიო სახელი დაუვიწყარი იქმნება ყველა ქართველისათვის.

P. S. ჩვენც, უკეთუ ჩვენი საზოგადოება განიზრახავს რაიმე საქმის დაარსებას—აქსენტის სახელობაზე, მზადა ვართ, ჩვენის მხრივ, თანაუგრძნოთ და გულწრფელად გამოვიღოთ ჩვენი წვლილი, რათა მისი სახელი დაუვიწყარ იყოს უკუნისამდე.

ტაშკენტელ ქართველობის მინდობილობით ნიკოლოზ ივანეს-ძე სიხარულიძე.

დეპეშა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 აგვისტო

პეტერბურგი. მანჯურიიდგან იუწყებიან, რომ ხოლერა მოისპო ფიხქოუსა და გარინში. ინკოუში თითო-ოროლა ხდება ავად დღეში და მხოლოდ მუკდენს ადის რიცხვი ავად გამხდართა და გარდაცვალებულთა 30—15 მდე დღეში. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის გაყოლება შესყიდულ მიწების მანძილზედ დღიდან ხოლერიანობისა 15 აგვისტომდე ავად გახდა 4043 და გარდაიცვალა 2556 ადამიანი.

ხარკოვი. მე-XII კრება არხეოლოგთა გათავდა. გადაწყვეტილ იქმნა, ვითხოვოთ მთავრობა არხივების დაცვისათვისაო, მალე დაარსება საზოგადოებისა ჰოლტავის გუბერნიის შესასწავლად და გამოცემა კანონისა, რომლითაც აიკრძალოს სიძველეთა გატანა რუსეთიდგანაო. მე-XIII კრების ადგილად ამოირჩიეს ეკატერინოსლავი.

ვარშავა. გუშინ გაიარეს გზად ვარშავაზედ და წაბრძანდნენ საზღვარ-გარედ მემკვიდრე საბერძნეთის ტახტისა და მისი მეუღლე.—კალვასიას იმართება 10 სექტემბერს იარმუკა [illegible] მწველელ ძროხებისა. იარმუკას ჰმართავს ვარშავის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

ბათუმი. ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ერისთავი შეამდგომლობს, რომ მთავრობამ დააცადოს შეუტანელ გადასახადის წარდგენა მკვიდრთა იმ ნაწილს, რომელიც დააზარალა წყალდიდობამ 19 აგვისტოს ღამით.

პსკოვი. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის თანდასწრებით აკურთხეს ფერიცვალების ტაძარი მირჟოვის მონასტერში. ტაძრის რესტავრაციისათვის საჭირო ფული სინოდმა გადასდო.

როსტოვი-დონისა. სიკვდილით დასჯის განაჩენი სამხედრო სასამართლოსი პოლიციელის მკვლელთათვის გუშინ მოიყვანეს აღსრულებაში.

პეტროზავოდსკი. გუბერნიის საერობო გამგეობაში დაიწყო ბჭობა საერობო აგრონომებისა მისადმი [illegible] საერთო გეგმის შესადგენად.

როსტოვი-დონისა. დროებითი თავ-შესაფარი დაარსა იმ საზოგადოებამ, რომელსაც აზრად აქვს დახმარება აღმოუჩინოს იმათ, ვისაც დასჯის ვადა გაუვიდა ციხეში დაპატიმრებით. დაარსდა აგრეთვე უფასო სკოლა მოზრდილ ყმაწვილებისათვის.

ჩარჯუი. ბუხარის ემირმა შესწირა 12000 მან. საქალაქო ქსენონის შენობის ასაგებად. ქსენონი უნდა იყოს დიდის მთავრინას ოლგა ნიკოლოზის ასულის სახელობაზედ აშენებული.

ლენევენი. სოფელ ფოლგოეტს წავიდნენ სალოცავად 30,000 კაცზედ მეტნი, ეპისკოპოსი და მღვდელნი მრავლად. წირვის შემდეგ გლეხთა რამდენიმემ ჯგუფმა დემონსტრაცია მოახდინა და პატივის ცემით იხსენიებდა მასწავლებელ მონაზონ ქალებს. ეპისკოპოსმა წარმოსთქვა სიტყვა და ულოცავდა ბრეტონელთ სკოლების გაუქმების გამო წინააღმდეგობისათვის.

ლონდონი გაზ. „Globe“ სიტყვით, საადმირალო მმართველობამ მიიღო ცნობა, რომ დიდი ომი ჰქონიათ სპარსეთის ყურეში კანონერკა „დაპვინგს“ და მონათა მომყვანელს გემს. მოკლულია ერთი მატროსი.

28 აგვისტო

პეტერბურგი. გუშინ, 27 აგვისტოს, კურსკში წავიდა შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. კ. პლევე.

1902 წლ. 19 ოქტომბრიდგან (1 ნოემბრიდგან) შემოღებულ უნდა იქმნას ფულის გაგზავნ-გამოგზავნა საფოსტო დაწესებულებებით ფინლიანდიასა და რუსეთის იმპერიის დანარჩენ ნაწილთა შორის.

„Прав. Вѣст.“-ში გამოქვეყნებულია 24 აგვისტოს უმაღლესად დამტკიცებული დროებით წესები პროფესორთა სადისციპლინარო სასამართლოს შესახებ საერო განათლების სამინისტროს უმაღლეს სასწავლებლებში. ამ წესების ძალით საბჭო უნივერსიტეტის პროფესორთა შორის ყოველ წელს ირჩევს ხუთ მოსამართლეს, ხოლო უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებელში—სამ ან ხუთ მოსამართლეს; მოსამართლეებს ამტკიცებს ოლქის მზრუნველი. ასეთმა სასამართლომ უნდა განიხილოს შემდეგი საქმენი: წესიერების დარღვევა სასწავლებელში, უთანხმოება მოსწავლეთა და მასწავლებელთა ან სასწავლებლის თანამდებობის კაცთა შორის და ისეთი საქმეები, რომელიც პატიოსნებისა და ზნეობის საწინააღმდეგოა. სასამართლო საქმეებს სიტყვიერად აწარმოებს; განაჩენი შეტანილ უნდა იქმნას წიგნში; საქმის განხილვა ხალხის დაუსწრებლად უნდა მოხდეს. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სასჯელი იმანაც-კი უნდა გადაიხადოს, რომელიც განაცხადებს, რომ სასწავლებლიდგან მივდივარო.

ბერლინი. ბერლინმა დიდის ამბით დაასაფლავა ვირხოვი. დაესწრნენ წევრნი მაგისტრატისა, მრავლად დეპუტატნი ქალაქისა, მსწავლულნი, სეიმის წევრნი; რამდენიმე მინისტრიც იყო.

ვაშინგტონი. მეტეოროლოგიურ ბიუროს საყოველკვირეო უწყებაში სწერია, რომ ტეხასში და საზოგადოდ იქ, საცა ბამბაა დათესილი, დიდი წვიმა მოვიდა: საეჭვო კია უშველის-და რასმე წრევანდელს მოსავალს, თუ წვიმამ დაიგვიანა.

ხარბინი. ხოლერა ისპობა. საზოგადოდ გარდაიცვალა 262 ევროპიელი და 830 ჩინელი.

კურსკი. მოვიდა აქ მინისტრი თავადი ხილკოვი.

პეტერბურგის ბირჟა, 27 აგვისტო.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	46,05
პარიჟში 100 ფრანკში	37,40
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში „	46,25
პარიჟში „	37,60
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1993 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სა ხელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	469½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	293½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	87⅜ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89¼
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები „ „ „ „	—
„ კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	178 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ.დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ.დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ.დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ.დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57წ. დილ.	6 ს. 22 წ.დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—19)

ვაცხადებთ იმ წევრების საყურადღებოთ, ვისაც **ყვირილის თეატრის ამხანაგობის პაის ფული** სრულად არ აქვს გადახდილი, რომ უნდა გადაიხადონ **ენკენისთვის პირველამდის.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ის წევრი, ვინც მასზედ დარჩენილ ფულს არ შემოიტანს, ამხანაგობიდან გამოირიცხება და შემოტანილი ფულიკი დარჩება ამხანაგობის სასარგებლოდ.

გარეშე პირს თუ ვისმე ესურვება პაის ყიდვა, შეუძლიან მოგვმართოს შემდეგი ადრესით:

Квирилы. Квирильское Театральное Т—во.--პაი ღირს ათი მანეთი.

თავმჯდომარე ამხანაგობისა
კნ. ბარბარე სპირიდონის ასული წერეთლისა.

(10—6.—7).

Парфюмерія
„Нильская Лилія“
духи, мыло, пудра и
цвѣточный о-де-колонъ
Т-во А. Ралле и К°

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	„
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნაიტონისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
დაზარილით ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამუენი ვაზით ვენახის მოშენება ს. ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
პაწია დაბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30

საბუხგალტერო კლასები
დაარს. ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.

შარშან **დაამთავრა** კურსი 106 შეგირდმა: 43 ქალმა და 63 ვაჟმა. კლასებთან არის **ბიბლიოთეკა, სასაქონლო-საცენოლ, მუზეუმი და ბიურო** პრაქტიკულ მუშაობათათვის.

წელს მოწვეულნი არიან ლექციების საკითხავად საუკეთესო სპეციალისტები, სახელდობრ: ინჟ. მ. ი. **ჩენგერი**, ინჟ. გ. ი. **დიუკოვი**, იურისტი ვ. ა. **მოსკალოვი**, დამსახ. პრ. **ლევიცკი**, მასწავლ. საშუალ. სასწავლ. ე. კ. **ლიონზენი**, ი. ფ. **გრუმლიკი**, ს. ე. **კოზლოვი** და სხ.

სავალდებულო საგნები კლასებში:

ბუხგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მწერალ მაშინაზედ.

კურს-დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები** და საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი სამსახურში.**

ფასი მთელის კურსისათვის 60 მან. კურსი თავდება 5-ს თვეში და სწავლა სწარმოებს ყოველ-საღამოს 5-დგან 8 საათამდე. მიიღებიან **ქალნიცა და ვაჟნიცა.**

პროგრამები და წეს-რიგი შეგირდად მიღებისა მსურველს შეუძლიათ უსასყიდლოდ მიიღოს კლასების კანცელარიაში, ნიკოლოზის ქ., № 88, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დგან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბრიდგან. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. ორი **უსასყიდლო** ვაკანსია თავისუფალია.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.**

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 71 15—390—11)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Е[. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.